ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ბორჯომი 21 ოქტომბერი 2014 წელი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ 2014 წლის 26 სექტემბერს ქ. ბორჯომში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე სკვერის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის საჭირო საპროექტო სამუშაოების დოკუმენტაციის შედგენის მიზნით გამოცხადებული №1368 კონკურსის მეშვეობით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

კომისიის თავმჯდომარე	ა. სვანიძე
კომისიის წევრი	რ. კალაძე
კომისიის წევრი	გ. ჩადუნელი
კომისიის წევრი.	გ. ჭანკოტაძე
კომისიის წევრი	მ. მახარაშვილი
კომისიის წევრი	ზ. ქიტიაშვილი
კომისიის წევრი	ა. კიკაძე
კომისიის წევრი	მ. გელაშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი №2

ბორჯომი 21 ოქტომბერი 2014 წელი

კომისიას ესწრებოდნენ:

1. ანზორ სვანიძე – ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარე;
2. რევაზ კალაძე – ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, სატენდერ კომისიის წევრი;
3. გიორგი ჩადუნელი – ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი;
4. გიორგი ჭანკოტაძე – ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიულიკონსულტირების, სასამართლო საქმეთა წარმოების, კონტროლისა და შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი;
5. მაია მახარაშვილი – სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, კომისიის და აპარატის წევრი;
6. ზურაბ ქიტიაშვილი – ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის , სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის არქიტექტურისა და მშენებლობაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსი;
7. მარიამ გელაშვილი – ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის განყოფილების მტავარი სპეციალისტი;
8. ალექსანდრე კიკნაძე – ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი ქ.ბორჯომის ადმინისტრაციულ ერთეულში;

დღის წესრიგი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ კონკურსის მეშვეობით ქ. ბორჯომში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე სკვერის ინფრასტრუქტური მოწესარიგებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების ვებგვერდზე 2014 წლის 26 სექტემბერს გამოცხადებულ (საკონკურსო განცხადების №1368) კონკურსზე, კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების განხილვა და შეფასება.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა მაია მახარაშვილმა კომისიის წევრებს მოახსენა, რომ საკონკურსო განცხადების მიღების დასრულებამდე (2014 წლის 15 ოქტომბერი 15-00 საათი) საკონკურსო წინადადება დალუქული კონვერტით წარმოადგინა ერთმა კონკურსანტმა ინდ. მეწარმე გიორგი კობალაძემ.

განიხილეს:

საკონკურსო კომისიის წევრებმა განიხილეს კონკურსანტის მიერ შემოთავაზებული საკონკურსო წინადადება. განხილვის შემდეგ დადგინდა, რომ ინდ. მეწარმე გიორგი კობალაძის მიერ წარმოდგენილი კონცეფციალური პროექტი, როგორც ვიზუალური ისე ფუნქციონალური თვალსაზრისით არ არის დამაკმაყოფილებელი და არ შეესაბამება არსებულ სიტუაციას.

დაადგინეს:

1. ვინაიდან ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ 2014 წლის 26 სექტემბერს, ქ. ბორჯომში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე სკვერის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ №1368 კონკურში მონაწილის საკონკურსო წინადადება არ აკმაყოფილებდა ტექნიკური დავალების მოთხოვნებს, საკონკურსო კომისიის

წევრების გადაწყვეტილებით არ შეფასდა საკონკურსო წინადადებები, არ გამოვლინდა გამარჯვებული და კონკურსი დასრულდა უარყოფითი შედეგით.

2. აღნიშნულის შესახებ ეცნობოს კონკურსანტს.

3. საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი და თანდართული დოკუმენტები გაეგზავნოს კონკურენციისა და სახელწიფო შესყიდვების სააგენტოს, მის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების მიზნით.

კომისიის წევრები:

1 ა. სვანიძე

2. რ. კალაძე

3. გ. ჩადუნელი

4. გ. ჭანკოტაძე

5 მ. მახარაშვილი

6. ზ. ქიტიაშვილი

7. ა. კიკნაძე

8. მ. გელაშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტი
MUNICIPALITY OF BORJOMI

№ 4681 „21" 10 2014 წ

ინდ. მეწარმე გიორგი კობალაძეს

გაცნობებთ, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკონკურსო კომისიამ განიხილა მუნიციპალიტეტის მიერ 2014 წლის 26 სექტემბერს კონკურსის მეშვეობით ქ. ბორჯომში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე სკვერის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის საჭირო საპროექტო სამუშაოების დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ №1368 კონკურსში მონაწილე კონკურსანტის საკონკურსო წინადადება. საკონკურსო კომისიის წევრების გადაწყვეტილებით არ შეფასდა საკონკურსო წინადადება, არ გამოვლინდა გამარჯვებული და კონკურსი დასრულდა უარყოფითი შედეგით.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის
გამგებლის მოვალეობის
შემსრულებელი ა. სვანიძე

საქართველო. 1200. ბორჯომი. მესხეთის ქ№5.
GEORGIA. 1200. BORJOMI.MESKHETI ST№5.
ტელ: (0 367) 22-44-99 22-33-55
Tel: (0 367) 22-44-99 22-33-55